№ 231
ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1899 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი ... ბიბლიოთეკა

1877—1899

# ივერია

№ 231
ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ ნ. რენე-ლისა** და **ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით** და **ქ-ნ კაშთელის** სადებიუტოდ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

## ლ ა ნ დ ი

დრამატიული ზღაპარი 5 მოქ. და 6 სურ, გერმანულიდამ ნათ. ბ-ნ ლაზარაშვილისაგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **მ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

---

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუღალტერო კურსები“

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლითა და ორის თვით იქნება და **ეღირება ასი მანეთი**.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

კურსებზედ ასწავლიან:

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გაუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.

(10—9) კურსების გამგე კ. მ. გიგინეიშვილი

---

## ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
## ექიმი გაბრ. იოს.
## გოკიელოვი

ილებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.

ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.

(40—140—18)

---

ზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—17)

---

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ ილებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს ილებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობსით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდისა—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## ე ქ ი მ ი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—62)

---

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გა-

---

## ფელეტონი

### ბ ა რ ბ ა რ ე

კომედია ერთ მოქმედებად ჯერომ კ. ჯერომისა

(შემდეგი *)

სესილი. (მარცხენა კარებიდგან გამოიხედავს). შეიძლება შემოვიდე?.. (შემოდის, ხელში უკავიდების პატარა თაიგული და ყურძნით სავსე კალათა უჭირავს). როგორ გიკითხოთ?.. (ბარბარეს ხელს ჩამოართმევს).

ბარბარე. გმადლობთ, საუცხოოდ გახლავართ, მეტადრე მას შემდეგ, რაც თქვენა გხედავთ... რა მშვენიერი ყვავილებია?.. ჩვენთვისაა, თუ სხვისი წილ-ხვედრია?..

სესილი. თქვენთვის გახლავთ... (მივა მაგიდასთან და საყვავილეში ჩასდგამს). გამარჯობათ ლი... ბ-ნო ელენე, როგორა ბრძანდებით? (მიუახლოვდება).

ლილი. (გულ-ცივად, არც-კი შეჰხედავს) როგორც მხედავთ, არა მიჭირს-რა... მგონია, რომ გუშინდელიდგან არა დამემართებოდა-რა...*)

ბარბარე. სესილი გუშინ ჩვენსა არა ყოფილა...

ლილი. ვითომ?.. კარგად არ მახსოვს...

სესილი. მგონია, ბ-ნო ელენე, ჩემი აქ სიარული არ გესიამოვნებათ... (ბუხრისაკენ გადავა).

ლილი. სულაც არა!.. ჩემთვის სულ ერთია!.. რომ არც მესიამოვნებოდეს, ხმას არ ამოვიღებდი და ბაბოს სიამოვნებას არ მოვუწამლავდი...

ბარბარე. კმარა, კმარა!.. რი დროს წაკინკლავებაა!.. მარტოს დაგტოვებთ, ერთმანეთი გაართეთ... იქით ოთახში საქმე მაქვს... ბოდიშს ვიხდი თქვენთან, სესილ!..

სესილი. } ახ, ნუ წახვალთ!..
ლილი. }

ბარბარე. საქმე მაქვს... არ შეიძლება...

ლილი. (ბარბარეს ჩუმად). თუ ღმერთი გრწამს, ნუ წახვალ... არ ვიცი რადა, მაგრამ ამასთან მარტოდ დარჩენის დროს ყოველთვის უხერხულადა ვარ... მარტონი კრიჭა-შეკრულნი ვართ და ორივენი ცუდად ვგრძნობთ ჩვენს თავს.

ბარბარე (ჩუმადვე). სისულელეა!.. უნდა მიეჩვიოთ... (მარჯვენა კარებისაკენ მიდის).

სესილი (ბარბარეს ჩუმად). თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ნუ წახვალთ... მარტონი რომ ვრჩებით, ყოველთვის ავღელვდები ხოლმე და ჩერჩეტს ვემსგავსები!.. მე მგონია, რომ ლილისაც დიდადა სწყინს...

ბარბარე. რასაკვირველია, ეწყინება, თუ ჩერჩეტდებით. ნულარ გამოჩერჩეტდებით და თქვენთან მარტოდ დარჩენა ესიამოვნება კიდეც... მიდით, უთხარით რამე...

ლილი (მიუახლოვდება) მაინც მიდიხარ?.. თუ აგრეა, მეცა მაქვს საქმე მეორე ოთახში... მეც შენთან მოვდივარ!..

ბარბარე. (გაცხარდება). ღმერთო, რა აუტანელი სისულელეა!.. ძალიან საჩქარო სამუშაო მაქვს და დროზედ არ გამათავებინებთ... (დაბრუნდება, ტახტზედ ჩამოჯდება და უკმაყოფილოდ დაიწყებს მუშაობას). ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი უცნაური ხალხი... (სიჩუმე) ეს-კი იცოდეთ, რომ სალაპარაკოდ კრინტსაც არ დავძრავ... დიდ-ძალი საქმე მაქვს და უნდა ვუბეჯითო... (ხანგრძლივი სიჩუმე. ბარბარე ჰმუშაობს, სესილი ბუხართანა სდგას, ლილი მაგიდასთან საგარძელზედ ჩამოჯდება). უკაცრავად-კი და მგონი ვიღაცამ რაღაცა სთქვა?..

ლილი. მე არა მითქვამს-რა .. თქვენ თუ სთქვით რამე, ბ-ნო ნორტონ?..

სესილი. არა, ფიქრში ვიყავი წასული და ხმა არ ამომიღია...

ლილი. სჩანს, არავის არა უთქვამს-რა... (სიჩუმე).

ბარბარე. რაო, ბატონებო?.. სულ აგრე კრიჭა-შეკრულნი იქნებით?..

ლილი. მაშ რა უნდა ვთქვათ?..

ბარბარე. ღმერთო შემიწყალე!.. სთქვით, რაც გინდათ... აი თუნდა ამინდის შესახებ დაიწყეთ ლაპარაკი!..

ლილი (სესილს). დღეს მშვენიერი დარია!.. არა, ბ-ნო ნორტონ?..

სესილი. დიაღ... ცოტა-კი წამოწვიმა...

ლილი. ჰო, წვიმა იყო... რა გგონიათ, ხვალაც წვიმა მოვა?..

სესილი. არ ვიცი სწორედ... ტაროსის-მაჩვენებელი...

ბარბარე (შეაწყვეტინებს). ღმერთო, რა ხალხია!..

ლილი. შენვე არ გვიბრძანე, ამინდის შესახებ დაიწყეთ ლაპარაკიო...

ბარბარე. მაგ სისულელეს თუ არ მოიშლით, ადარას დავფარავ და ბოლჩას გადმოგიშლით! (ლილის) ისა სჯობს, რომ წახვიდე, შენი ნახატი სურათები მოიტანო და სესილს აჩვენო... მინდა გავიგო, როგორ მოეწონება...

ლილი. ახ, არა, ისეა ნაჯღაბნი, რომ საჩვენებლად არა ჰღირს... დარწმუნებული ვარ, რომ სეს... რომ ბ-ნს ნორტონს სულაც არ უნდა მისი ნახვა...

ბარბარე. მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ უნდა...

ლილი. მე-კი ვიცი, რომ არ უნდა...

ბარბარე. სესილ, გინდათ ჰნახოთ ლილის დახატული სურათები?..

სესილი, ძალიან.. არ ვიცოდი,

*) იხ. „ივერია“ № 229.

*) ლილის როლის აღმასრულებელმა ეს სცენა სესილთან ისე უნდა წარმოადგინოს, რომს აზოგადოებისათვისცხადი იყოს,—თუმცა სესილთან უკმეხად არის, მაგრამ განგებ სჩადის ამას, ეკეკლუცებაო, ამიტომ როდესაც სესილი იმას არ უყურებს, სახე და მოძრაობა უნდა შეიცვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

*** დღეს, 28 ოქტომბერს, ქართულ თეატრში, დრამატიულის დასის მიერ, ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ლაზარაშვილის მიერ გერმანულიდგან ნათარგმნ პიესას „ლანდს“.

*** 22 ოქტომბერს ქართლიდგან დაბრუნდა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც წასული იყო იქ ეკკლესიების დასათვალიერებლად. ქართლიდგან ეპისკოპოსმა მოიტანა 1) XIII საუკუნის ხუცური ხელ-ნაწერი სახარება, ტყავზედ ნაწერი, 2) უმთავრესად საქართველოს ეკკლესიის 1707 წლის წმიდანების ცხოვრების წიგნი, 3) თამარ-მეფის ხატი ქართულის წარწერით: „წმ. თამარ მეფე“, 4) ხუთი ხატი: ორი—ნიკოლოზ სასწაულ-მომქმედისა, ორი—მაცხოვრისა და ერთიც—წმ. ნინოსი, 5) წრომის ტაძრის მოზაიკის ნიმუში და 6) რამდენიმე ვერცხლისა და ოქროს ფული. ყველა ეს საგნები გარდაეცემა საქართველოს საეკკლესიო სიძველეთ-საცავში.

*** ტფილისის დურგალთა საზოგადოების „შრომის“ წესდება გაგზავნილ იქმნა დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*** დეკემბრისათვის განზრახულია ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელსაც საგნად აქვს საზოგადოებისათვის საკუთარ შენობის აგების საქმის განხილვა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთა არჩევნების მოხდენა, ხოლო დირექტორის არჩევნები-კი მოხდება მომავალ წლის გაზაფხულზედ.

*** სათანადო დაწესებულება, როგორც ისმის, სასტატისტიკო ცნობებსა ჰკრებს უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიაში შეპყრობილ, დაჭრილ და მოკლულ ყაჩაღების შესახებ.

*** შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-რთვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება უნდა მოხდეს 1900 წლის მარტში. ამიტომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ხსენებული კრება 20 მარტს იქმნას დაწყებულიო.

*** შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ შედგენილ იქმნას სრული ანგარიში პროფესორის ვ. ვ. დოკუჩაევის-მიერ კავკასიის გამოკვლევის შესახებ.

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს განზრახვა აქვს დააარსოს ახლო მომავალში სამრევლო სკოლები: ერთი—ავლაბარში და მეორეც—მოწამის აბოს სამლოცველოსთან.

*** როგორც ვუწყით, საშუალო აქციზის განაწილება სასმელების დუქნებსა, ლუდხანებსა, ყავა-ხანებსა და სხ. შორის ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა. საშუალო აქციზის საზოგადო რაოდენობა მომავალ 1900 წლისათვის უდრის 55,016 მან. აქციზის უწესოდ განაწილებაზედ საჩივრის წარდგენის ვადა დანიშნულია 20 ნოემბრამდე, რის შემდეგ მოხსენება განაწილების შესახებ საბჭოს წარედგინება განსახილველად.

*** ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ, გუბერნიის ადმინისტრაციის მინდობილებით, მოსთხოვა ქალაქის გამგეობას, წარმოგვიდგინეთ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის გამოძიება გარდაცვალებულ სემინარიელის გოგოლაძისათვის სამკურნალო დახმარების აღმოუჩენლობის შესახებაო.

*** 25 ოქტომბერს ჩხუბი მოუვიდათ ურთიერთ შორის დუშეთის მცხ. ქრისტიშვილსა და ორს ვილაც უცნობ კაცს. შეპყრობის დროს ამ კაცებმა განაცხადეს, ქრისტიშვილს ჩვენთვის ყალბის ფულის მოყიდვა უნდოდა, ეს ჩვენ ვიწყინეთ და ამიტომ ვცემეთო. ქრისტიშვილი-კი, პირ-იქით, თავისს მოწინააღმდეგეთ იმას აბრალებდა, რომ მათ თითონ მთხოვეს, ყალბი ფული მოგვყიდეო, მე ვისარგებლე ამ შემთხვევით, მოვინდომე მათი მოტყუება და ყალბი ფულის მაგივრად დაჭრილი ქაღალდი მივყიდეო.

*** ამიერ-კავკასიის და იმიერ-კასპიის ოლქის მეღვინეები შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ რუსეთიდგან საღვინე ბოთლების ჩამოტანა რკინის გზით გაიაფდეს.

*** 26 ოქტომბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო განსახილველად ცნობილი საქმე თავ. კონსტ. და ილია წულუკიძეთა, ს. ადამიასი და თავ. ნიკ. ლორთქიფანიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ თავადის ქალის წულუკიძის მოტაცება. რადგან საქმეებში არავითარი ცნობები არ აღმოჩნდა ბრალდებულთათვის უწყების ჩაბარების შესახებ, ამის გამო პალატამ დაადგინა გადადებულ იქმნას საქმის განხილვა და ეუწყოს ქუთაისის გუბერნატორს, რომ პოლიციას არ აუსრულებია სამოსამართლო პალატის მოთხოვნილება ბრალდებულთათვის უწყების ჩაბარების შესახებაო.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ წინადადება მისცა ახალციხის ქალაქის მამასახლისს, ამ მოკლე ხანში მოახდინეთ ქალაქის რწმუნებულთა თავმჯდომარისა, ქალაქის მამასახლისისა და მის თანაშემწეთა არჩევნები მომავალ ოთხის წლისათვისო.

*** გორის ქალაქის ახალ რწმუნებულთა კრებამ შესაძლებლად ვერა სცნო შეუდგეს ქალაქის საქმეთა გარდაწყვეტას რწმუნებულთა კრების თავმჯდომარის არჩევამდე და დამტკიცებამდე და დაადგინა სთხოვოს გუბერნატორს ამ საგნის განმარტება. გუბერნატორმა ამ თხოვნის გამო შეატყობინა ხსენებულ კრებას, რომ რწმუნებულთა კრებას თავმჯდომარის არჩევამდე და დამტკიცებამდე უფლება არ აქვს ის საქმეები გადასწყვიტოსო, რომლებიც ჩამოთვლილია საქალაქო დებულების მე-120 მუხლშიო, ხოლო რაც შეეხება სხვა საქმეებს, მათ განხილვას კრება გვერდს ვერ აუქცევსო. ამის გამო აღნიშნული დადგენილება რწმუნებულთა კრებისა, როგორც უკანონო, გუბერნატორმა ქალაქის საქმეთა საკრებულოს გარდასცა გასაუქმებლად.

*** როგორც „პეტ. უწყ.“-ს შეუტყვია, სათანადო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთის ქარხნის მკურნალთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს უმთავრესად საქარხნო ჰიგიენისა და საქარხნო წარმოების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეები. ამ კრებაზედ განზრახულია დელეგატებად მიიწვიონ ქარხნის ინსპექტორებიც, რომელნიც ქარხნის მკურნალებთან ერთად შეუდგებიან ქარხნის ინსპექტორებად ქალების დანიშვნის საქმის განხილვას.

*** დაბა ხობი, (ზუგდიდის მაზრა). წარსულ წელში სოფ. ნოჯიხევის საზოგადოებაში გახშირებული იყო სიკვდილი უექიმობისა გამო. დღეს-კი, ჩვენდა საბედნიეროდ, მოგვევლინა ისეთი მკურნალი, რომელიც ავადმყოფებს უსასყიდლოდ ჰკურნავს და თავისის საკუთარის ფულით უწერს წამლებს ღარიბებს და ქვრივ-ობლებს. ეს გახლავთ ბ-ნი გ. ი. ჯორჯაძია. ბ-ნს ექიმს აზრად აქვს საავადმყოფო სახლებიც გამართოს ხობის მონასტრის მახლობლად. ვუსურვებთ წარმატებას...

*** სოფ. ხუნჯულაური, (ქუთ. მაზრა). მრავალის დაბრკოლების შემდეგ, სასიხარულოდ, ჩვენშიაც დაარსდა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა და დაინიშნა კარგი მასწავლებელი. იმედია, რომ ხსენებული მასწავლებელი საკვირაო სკოლასაც დააარსებს.

---

## რით და როგორ ვუშველოთ ტფილისის რიყეს?

მოგეხსენებათ რა არის ტფილისის რიყე? ეს ის ნაწილია მისი, სადაც გაზაფხულობით, ნიაღვრების დროს, გადმოჰხეთქს ხოლმე მდინარე მტკვარი და იქ აგებულს სახლებსა და მათს პატრონებს ნამდვილს ჯოჯოხეთს აყენებს. ის, თუ რაოდენად საშინელი ღვთის-რისხვაა რიყის მცხოვრებთათვის ეს ამბავი, სჩანს იქიდამ, რომ მრავალმა მათგანმა ვერ გა უძლო მის თითქმის ყოველ წლიურს ასეთს დაწიოკებას და გადასახლდა ვერის ხევს იქით კარგა მოშორებით. ამით „რიყესა“, რასაკვირველია, არაფერი ეშველა და იგი ყოველ გაზაფხულს იმავე შიშშია, როგორშიაც იყო ამ რამდენისამე წლის წინად. გარდა იმისა, რომ აქ მცხოვრებნი დიდს ზარალსა და გულის ხეთქაში არიან, ამ ნაწილის წარიყვა კიდევ იმით არ არის სასურველი, რომ ასეთი სისტემატიური წალეკვა, ქალაქში არსებულ ყოველ გვარ ავადმყოფობათა ბუდედა ჰქმნის, რადგანაც აქ არის დამართული უმეტესი ნაწილი ეგრედ წოდებულის „დვორებისა“, სადაც მრავალია ის აუარებელი ნეხვი და მტვერ-ნაგავი, რომლითაც ასე განთქმულია ეს მხარე.

როგორც მკითხველსაც გაგებული ექნება, მთავრობა და ქალაქი მუდმივ ზრუნვასა და ცდაში იყო, რითიმე და როგორმე აელაგმა მდინარის ასეთი თავვასულობა, მაგრამ ამაოდ. ახლა გაზეთებში იწერებიან, რომ ქალაქის გამგეობამ უკვე გადასწყვიტაო ახლავე შეუდგეს მტკვრის მარცხენა კიდის გამაგრებას, რათა მომავალ გაზაფხულზედ თავიდგან ააცილოს „რიყეს“ წალეკვის უბედურებაო. ჩვენ არ ვიცით, რით და როგორ ჰფიქრობს ტფილისის თვითმმართველობა მალამოდ დასდოს ამ საქმეს, მაგრამ გაზეთების ნაწვეთ-ნაწვეთად გადმოცემულ თითო-ოროლა ამბიდგან მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რომ გამგეობას ჰსურს ააგოს აქ კედელი ან იმისთანა რამე. რაც უნდა კარგი და მაგარი კედელი ააგონ აქ, ჩვენ ეს სრულ პალიატივად და საკუთარის თავის მოტყუებად მიგვაჩნია და ამიტომ ვიტყვით, ჩვენის აზრით, სად უნდა ეძებდნენ ქალაქი და მისი მეთაური „რიყის“ დამხსნელ წამალს.

უმთავრესი მიზეზი ტფილისის რიყის წალეკვისა ის ვიწრო გასადინარია მტკვრისა, რომელიც აქვს მას ავლაბრის ორსავე ხიდს ქვეშ. სიგანე მდინარის კალაპოტისა აქ ბევრი-ბევრი 10-12 საჟენი იყოს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ვერ იტევს მოზღვავებულს მდინარეს და

---

თუ ბ-ნი ელენე ჰხატავდა...

ლილი. არცა ჰხატავს!..

სესილი. გულით მინდა ვნახო თქვენი ხელოვნება.

ლილი. სტყუით, არ გინდათ?..

ბარბარე. როგორ, სესილ?.. მართლა არ გინდათ?..

სესილი. პირ-იქით, ძალიან მინდა, თუ ბ-ნი ელენე...

ბარბარე (სიტყვას გააწყვეტინებს). გამიგონეთ, სესილ... გინდათ თუ არა ჰნახოთ სურათები.

სესილი. რასაკვირველია... მე...

ლილი. ბ-ნო ნოსტონ, ხომ არ გინდათ; მართალი სთქვით, განა რომ არ გინდათ?..

სესილი. (დაიბნევა) არა, არა... რასაკვირველია, არა...

ბარბარე. (მტკიცედ) ლილი, წადი და ეხლავ აქ გამოიტანე!...

ლილი. სესილს სასაცილოდ არ ეყოფა...

სესილი. ძნელად, ბ-ნო ელენე, რომ თქვენს ნაკეთებს რასმე დავცინო...

ლილი. თავს ვერ შეიმაგრებთ...

ბარბარე. (მკაცრად) ლილი, ხომ გაიგონე, რაც გითხარი?... წადი და მოიტანე!.. ღმერთო, რა კერპნი არიან ეხლანდელნი ნორჩნი!..

ლილი. რაღა თქმა უნდა, ძალიან კარგად, ჩინებულად მეპყრობით!.. (გაუვლის სესილს და ეტყვის) სულ-კი თქვენი ბრალია! (გადის).

ბარბარე. მართლაც, მშვენიერადა ჰხატავს... ჩვენს ზემოდგან რომ მოხუცი მხატვარი ბ-ნი ბიუჯი სდგას, ის ასწავლიდა... როდესაც ფხიზელია და არა ჰლოთობს...

სესილი. ვიცნობ... მისი სახელი განთქმულია...

ბარბარე. მართლა?.. რაც შეეხება ჩვენს ქუჩას, აქაურის სახელით-კი თავს ვერ მოიწონებს... ყოველთვის ღამის სამს საათზედ ჰბრუნდება სახლში და ყველას აფეთიანებს....

(შემოდის ლილი და ყდით სურათები შემოაქვს; ვიდრე ბარბარე და სესილი ჰლაპარაკობენ, იგი მიდის მაგიდასთან, ყდას სესილის წინ მაგრად ახეთქებს და თითონ ხმა-ამოუღებლად მეორე კუთხეში ცადადის).

სესილი. (სურათებსა ჰსინჯავს) ღმერთს გეფიცებით, მშვენივრად არის დახატული...

ლილი. მე გამიგონია, რომ სიცრუის თქმას ჩვეულთ ბოლოს სასჯელი არ ასცდებათო...

სესილი. სიცრუეს არ მოგახსენებთ... თქვენ თქვენსავ თავს მსჯავრს როგორ დასდებთ... (ერთს სურათს აიღებს). აი ეს, მაგალითად... უკეთესი იშვიათად შემხვედრია!.. მშვენიერი ხელოვნებაა... ბავშვის სახე...

ლილი. (ჩაჰსჩხდავს) ეგ დაბეჭდილი დედანი გახლავთ...

ბარბარე. (ხელ-საქმეს მიაგდებს და იმათ შუა ჩადგება) რასა სჩადით, უბედურნო!.. (მეორე სურათს ამოარჩევს). აი, ამ ჩემს მოწონებულს შეჰხედეთ.

სესილი. საუცხოვოა, საუცხოვო... იმედი მაქვს, რომ ესეც დედანი არ იქნება?..

ბარბარე. ეს შენ დაჰხატე, თუ ბ-ნმა ბიუჯიმ?..

სესილი. ვისი ნახელოვნარია: მოხუცის მასწავლებლისა, თუ ნორჩის მოსწავლისა?..

ლილი. ეგა... ეგ ჩემია...

სესილი. ისე კარგად არის დახატული, რომ დედანისაგან ვერავინ გამოარჩევს...

ლილი. აი, დაიწყეს!.. ვიცოდი, რომ დამცინებდით!.. დიდად მეთავაზებით, რომ მეტი არ შეიძლება!.. ბ-ნი ბიუჯი არასოდეს არ დამცინებს ხოლმე...

სესილი. არც მე დაგცინით... ვამბობ იმას, რასაცა ვფიქრობ... მე...

ლილი. არა, არა, დამცინით და ეს თქვენც კარგად იცით!..

სესილი. ღმერთს გეფიცებით ფიქრადაც არ მომსვლია...

ბარბარე. (საჩქაროდ მიაწოდებს მეორე სურათს) აბა ესა ჰნახეთ, ესეც ძალიან ლამაზია...

სესილი. (გამოართმევს) ეს ხომ ლინმუტია... ის არის, ის... აგერ კოშკიც... მშვენიერი ადგილია... ყოფილხართ იქ როდისმე, ბ-ნო ელენე?..

ლილი. არას დროს, თუმცა ძალიან-კი მინდა მისი ნახვა... ნუ თუ იქაც ისეთი მშვენიერი სანახავია, როგორიც სურათად?..

სესილი. ვერ წარმოიდგენთ იმისს სიმშვენიერეს!.. განმარტოებული ადგილია, გარს გორები არტყია, ისეთი მაღალი, რომ იმათ მწვერვალამდე ასვლას თხუთმეტი წუთი მანც დასჭირდება... თავისის სილამაზით აღტაცებაში მოიყვანს ადამიანს!..

ბარბარე. თქვენ მგონი შარშან იყავით იქ!..

სესილი. შარშანწინ... ჯეკი იქ ატარებდა თავისის ქორწინების პირველ ხანს... ექსმუტს ახლოა, სადაც დუნის ოჯახობა სცხოვრობდა.. ტურფა მდებარეობა და მიდამოები აქვს... მაღალი გორები, უტეხი, გაუვალი ტყე, სწრაფი ჩანჩქერები, რომელნიც უშველებელ ლოდებზედ გადმოსჩქეფენ... ტყეს იქიდგან ზღვაა თავისის ლურჯის ტალღებით... უნდა ჰნახოთ იქაურობა, როდესაც მზე ჩადის და ზღვის ტალღებს აშუქებს ნათელს... მზე რომ ჩავა და ვარსკვლავებით გაკაშკაშდება იქაურობა, თვალს წასტაცებს ადამიანს მისი სილამაზე... რამდენიც ძირს ჩასდიხართ გორიდგან, ცაში ვარსკვლავთ ელვარება ემატება და უფრო მკაფიოდ მოგესმით ზღვის ყრუ გრგვინვა. თუ როდისმე მეღირსა ცოლის შერთვა, ქორწინების პირველს ხანს უეჭველად იქ გავატარებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყალი ჰლეკავს მის ზემოდ მდებარე მტკვრის დაბალ მარცხენა კიდესა. წამალი ხსნისა, ცხადია, ამ სივიწროვეთა აშორებაა, მაგრამ ჩვენი თვით-მართველობა თავისის ინჟინერებით თითქოს განგებ თვალს არიდებენ ამას და იმის მაგიერად, რომ კარი გაუფართოვონ მდინარეს და მით თავისუფალი გზა მისცენ მის მოზღვავებულს მდინარებას, ესენი კედლის აგებით აპირებენ მის შეზღუდვას. ჩვენ არაფერი წინააღმდეგი არა გვაქვს ამ საშუალებისაც, რადგანაც იგიც საჭიროა, სხვა არა იყოს-რა, უბრალო სისუფთავისა და ქალაქის ლაზათისათვის მაინცა, მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება-კი, ჩვენის აზრით, ცოდვა იქნება რიყის მცხოვრებთა წინაშე. „რიყეს" უშველის მხოლოდ ჩვენ-მიერ დასახელებული ავლაბრის ხიდების სივიწროვეთა გაფართოვება და ამიტომ ქალაქმა ჯერ-ჯერობით ამის გაფართოვებას უნდა მიჰყოს ხელი და შემდეგ, თუ კიდევ საჭირო იქნება „რიყის" დასაცავად საზოგადო ზომების მიღება, კედლის აგებისათვის იზრუნონ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ქალაქი ავლაბრის ხიდთა სივიწროვეს გააფართოვებს, დაახლოვებით კიდევ იმდენად, რამდენი სიგანეც აქვს აქ მდინარეს, ე. ი. ათის საჟენით მაინც, მაშინ განძრახული კედელი სრულიად საჭირო აღარ იქნება და თითონ კიდეთა პატრონებიც ადვილად მოერევიან მდინარის მძვინვარებას მკვიდრის სახლების აგებით, როგორც ეს არა ერთსა აქვს გაკეთებული იმ ადგილას. ჩვენის აზრით, ავლაბრის ხიდთა სივიწროვე უნდა გაფართოვდეს მარცხენა კიდეზედ, იქ, სადაც ტრიალებს ცნობილი მორევი მტკვრისა. ქალაქს ამისათვის დასჭირდება შეისყიდოს ერთი ათიოდე საჟენი მორევის პირში აგებული ქარვასლისა და ის უმნიშვნელო ოთხიოდე დუქანი, რომელიც ჰძევს აქ წმ. აბოს სამლოცველოს წინ, და შემდეგ მოშალოს ყველა ეს და მოსჭრას თითონ კლდეც მტკვრის ძირამდის სიგრძეზედ. ეს ერთი.

ივანე პ. როსტომაშვილი

(დასასრული იქნება)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია მოწოდება ჰოლანდიის იმ კომიტეტისა, რომელსაც აზრადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს სამხრეთ აფრიკაში ბრძოლის ველზედ დაჭრილ ბურებს. მოგვყავს აქ სიტყვა-სიტყვით ეს მოწოდება:

„ყოველის მხრიდგან გაისმის: ვინ არიან ეს ბურები, რომელნიც რიცხვით 200,000 არ აღემატებიან და რომელთაც გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაუწიონ უძლიერესს სახელმწიფოს დედა-მიწის ზურგზედ და სისხლი დაჰღვარონ თავიანთ დამოუკიდებლობისათვის?

ისტორია ამ ბურებისა ზღაპარსა ჰგავს. ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზედ მდებარეობს პატარა ჰოლანდია. შრომის მოყვარე და მამაცი ხალხი, ზღვასთან განუწყვეტელ ბრძოლაში გამოჯეკილი, ერთგულად ედგა მიწის მოვლა-დამუშავების საქმეს. ეს ხალხი მუდამ ემორჩილება თავისს მთავრობას, მაგრამ როდესაც მე XVI საუკუნეში უცხო-ქვეყნელთ, იქ მაჯდად შესულთ, მოინდომეს ხალხისთვის ჩამოერთვათ წესით ღვთის ვედრების უფლება, რა წესითაც მათი მამა-პაპანი ევედრებოდნენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, ფეხზედ წამოდგნენ და მახვილით ხელში მტერს შეებრძოლნენ სარწმუნოებისათვის. ღარიბესნი მათ შორის, გეზნი, კაპის ოლქში გადასახლდნენ სადაც საფრანგეთიდგან გადასულ ჰუგენოტებთან ერთად შექმნეს ახალი სამშობლო და სადაც გულ-მოდგინედ შეუდგნენ მიწის დამუშავებას, საქონლის მოშენებას და მეღვინეობას. სახელად ამ ხალხს ბურები უწოდეს (ბოერი—გლეხი). იმათ ძარღვებში ჯერ კიდევ მოიპოვება მე-XV საუკუნის გმირთა სისხლი. იმათ დღემდის არ უღალატნიათ იმ დედააზრებისთვის, რომელიც ათრთოვანებდა მათ მამა-პაპათა. კაპის ოლქიდგან განდევნილნი ბურები თავიანთის ცოლ-შვილით უდაბნოში გადავიდნენ და 1840 წელს ნატალში დასახლდნენ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ აქედგანაც წასულიყვნენ ჩრდილოეთისკენ, სადაც 1858 წელს დააარსეს ტრანსვაალი და ორანჟეს რესპუბლიკა.

დღეს, ძლიერ მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში, ბურები სისხლისაგან იცლებიან. თავსა სდებენ და წუთი-სოფელს ესალმებიან ოჯახის მამანი, ხოლო მათი ცოლ-შვილნი უპატრონოდ რჩებიან. როგორც ჰოლანდიაში მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, ბურები ყველაფერს ჰსაჭიროებენ: სამკურნალო დახმარებას, დაჭრილთა მოვლა-პატრონობას, ობოლთა გამოკვებას.

გვიშველეთ, მოისმის ჩვენამდე ხმა-მაღალი ძახილი სამხრეთ-აფრიკიდგან. გული ეწვის კაცს, როდესაც ამ თავგანწირულ მებრძოლთ უყურებს. გვიშველეთ! დაყოვნება შეუძლებელია... ამავე სიტყვებით მიჰმართავს კომიტეტი ბურების ყველა მეგობარს რუსეთში. ჩვენს მეორე სამშობლოში, რუსეთში, კარგად ვიცით, რომ გაჭირვების დროს შემწე და დამხმარე ყოველთვის აღმოჩნდება. შეუმსუბუქეთ ტანჯვა დაჭრილთა, ქვრივთა და ობოლთა. თავმდები ვართ, რომ დახმარება დანიშნულებას არ დაჰკარგავს. კაცთმოყვარეობის სახელით მივმართავთ თქვენს გულს.

შემოწირულება ამ ადრესით უნდა გაიგზავნოს: პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 20, პასტორს გილლოტს;

ბურების დამხმარებელი ჰოლანდიელთა კომიტეტი

ჰოლანდიელთა მრევლის პასტორი გ. გილლოტი.

# რუსეთი

პ-ბიანიცში არსდება ქალთა საშუალო შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებელი.

— ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას მოსალაპარაკებლად შინა მრეწველობის წარმომადგენელნი. უმთავრესი საგანი, რომელიც ამ წარმომადგენელთ უნდა განიხილონ, იქმნება კრედიტის აღმოჩენა შინა მრეწველთათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია პროექტი წოდებათა რეორგანიზაციისა. ეს პროექტი გადაეცემა განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც ყველა უწყების წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას. როგორც ვუწყით, დღეს ქალაქის მცხოვრებნი სამ წოდებათ არიან გაყოფილნი: ხელოსანნი, „მეშჩანნი" და ვაჭარნი. აზრადა აქვთ ეს წოდებანი გააუქმონ და იმათ ნაცვლად ერთი შემოიღონ, რომელსაც სახელად „მოქალაქეთა წოდება" დაერქმევა. ამ წოდების საქმეები ქალაქის თვით მმართველობას გადაეცა და ყოველივე გადასახადსაც თვით-მმართველობა მოჰკრეფავს.

— სატუსაღოთა მთავარ-სამმართველოში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის განსაკუთრებული სადგომები იქმნას აგებული.

— როგორც „С. От." იუწყება, პროექტი გლეხთა და მემამულეთა მიწების ერთი ერთმანეთისაგან გამიჯვნისა ნოემბერში გადაეცემა სახელმწიფო საბჭოს.

— ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს პროექტი შეაქვთ სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას ახალი წესები უძრავ ქონებათა დაფასებისა საერობო გარდასახადის გაწერის დროს.

— როგორც ისმის, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს საქარხნო კანონებს დაუქვემდებაროს წვრილ-წვრილი სახელოსნოებიც, რომლებშიაც მუშათა რიცხვი 16 ზედ ნაკლები არ არის. თუ ეს განზრახვა განხორციელდა, საიმედოა, რომ წვრილ-წვრილ სახელოსნოებში შესამჩნევად გაუმჯობესდება სანიტარული პირობები, რომლებიც დღეს ბევრ ასეთ სახელოსნოში აუტანელია, გაძლიერდება ზედამხედველობა ოსტატებზედ, რომელნიც ამ ჟამად მეტად უდიერად ექცევიან თავიანთ მოქირავე ხელოსნებს, შემოკლდება სამუშაო დღე, რომელიც ახლა ყოველ ზომას გადაამეტებს, და სხ.

— სასულიერო უწყებაში, როგორც „С. О." იუწყება, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებლობის ცენზი გადიდებულ იქმნას.

— უწმ. სინოდმა ნება დართო მღვდლებს ბელოგოსტიცკისა და როჟდესტვენსკის ახალი სასულიერო ჟურნალი გამოსცენ.

— რადგანაც სახელმწიფო და კერძო რკინის გზებზედ არ არის საკმაო რიცხვი საავადმყოფოებისა, გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ახალის რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვაში ის ფულიც აღნიშნონ ხოლმე, რომელიც საავადმყოფოების დაარსებას დასჭირდება.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა სამასწავლებლო სემინარიასთან გამართულ იქმნას მოსწავლეთათვის ინტერნატი ანუ საზოგადო საცხოვრებელი.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** დიდს ყურადღებას იპყრობს ამ ჟამად ქალაქი ლედი-სმიტი, სადაც გენერალ უაიტის ჯარი ჰყავს დამწყვდეული ტრანსვაალის მხედრობის მთავარ-სარდალს გენერალ ჟუბერს. სანამ ბურები ინგლისის 2000 ჯარის-კაცს წაიყვანდნენ ტყვედ და ამათ გარდა მრავალს დახოცილს და დაჭრილს დასტოვებდნენ ბრძოლის ველზედ, მანამდისაც არა სანუგეშო მდგომარეობაში იყო ეს ქალაქი, და გაზეთები ამბობდნენ, რომ თუ ახალი ჯარი არ მიეშველა უაიტს, საქმე გაუჭირდება-ო. რაღა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ბურებმა ისე სასტიკად დაამარცხეს ინგლისელები, ლედი-სმიტი უფრო განსაცდელში ჩავარდა და ყოველ საათში მოელიან ამბავს, ამ ქალაქსაც ისეთი ბედი ხომ არ ეწია, როგორიც ხვდა გლენკოსა და დენდისო. მაშველი ჯარის საჭიროება, ცხადია, ეხლა მეტია, მაგრამ ბრძოლის ველამდე იმის მისვლას კიდევ კაი ხანი დააგვიანდება. პირველი რაზმი გენერალ ბულლერის კორპუსისა გავიდა ინგლისიდგან 8 ოქტომბერს. მაგრამ საქმე ის არის,

---

ლილი. ახ, ნეტავ-კი ვნახო იქაურობა-ც!.. რა კარგი იქმნებოდა!.. მაგრამ თუ იქ ახლად დაქორწინებულნი მიდიან, მეც ხომ უეჭველად უნდა გავთხოვდე, რომ ვნახო... (ამოიოხრებს).

ბარბარე. მერე, იქაურობასა ჰნახავ, მაგ სურვილს მოიკლავ, მაგრამ ქმარს-კი ველარ და ველარ მოიშორებ....

სესილი. ოჰო ჰო, როდის აქეთია, რაც ეგეთის ცუდის აზრისა ხართ ცოლ-ქმრობის შესახებ.

ბარბარე. მას შემდეგ, რაც ცხოვრება გავიცანი.

სესილი. მე მგონია, რომ საზოგადოდ ცოლ-ქმრობის შესახებ ბევრს სისულელესა სჩმახავენ.... დარწმუნებული ვარ, რომ ბედნიერნი ცოლ-ქმარნიც სწორედ იმდენივენი არიან, რამდენიც უბედურნი, მაგრამ იმათი ამბავი არავინ იცის....

ბარბარე. მაგ საგანზედ ლილის მოელაპარაკეთ.... სრულიად დაგეთანხმებით... ლილისა სწამს ყველა ეგ სისულელე—სიყვარულიცა, ცოლ-ქმრობაცა და რა ვიცი კიდევ რა....

ლილი. პირ-იქით, აზრი შევიცვალე... არასოდეს არ გავთხოვდები...

სესილი. არასოდეს?...

ლილი. არასოდეს!

ბარბარე. ყველა ყმაწვილი ქალი აგრე ამბობს, ვიდრე მთხოვნელი არ გამოსჩენია.

ლილი. არა ვხუმრობ... არასოდეს გავთხოვდები, არასოდეს!

ბარბარე. (მეორე სურათს აიღებს) ეს რა არის?..

ლილი. (უკანიდგან გადაჰხვდავს სურათს და საჩქაროდ იტყვის) არაფერია!...

ბარბარე. ჰმ.... შენის აზრით, არაფერია, და მე თუ მკითხავ, მამაკაცის სურათი გახლავთ....

ლილი. არა, არა, სულაც არა!... აქ მომეცი!..

ბარბარე. არაო?.. მე-კი გეუბნები, ჰო მეთქი!.. ნუ თუ ბრმა გგონივარ?.. დაიცა, დაიცა... ეს ხომ სესილია...

ლილი. (სცდილობს სურათი წაართვას) კმარა, ბაბო!.. სცდები, სესილი სულაც არ არის... მომეცი ეგ ქაღალდი!..

ბარბარე. (განზედ გააყენებს). არა, ლილი, სესილია... ნუ სტყუი... მაშინვე ვიცანი პალტოზედ... (სურათს სესილსა და ლილის წინ გაშლის). ეს თქვენი პალტო არ არის, სესილ?..

ლილი. ჰო, ეხლა გამახსენდა!. შენ არა მთხოვე, დამიხატეო...

ბარბარე. მე?..

ლილი. ჰო, შენ... ვითომ აღარ გახსოვს... ძალიან გინდოდა გქონოდა ეს სურათი და რამდენჯერმე მთხოვე დამიხატეო. არ მინდოდა, მაგრამ ძალად დამახატვინე.

ბარბარე. (იცინის) როგორღაც არ მაგონდება...

ლილი. მთხოვე, მთხოვე, შენა მთხოვე!.. კარგად იცი, რომ მთხოვე!..

ბარბარე. კარგი, კარგი, ნუ აღელდები... უარს არ ვამბობ... ის-კი ვერ გამიხსენებია, როდისა გთხოვე, და ვგონებ ვერც ვერასოდეს გავიხსენებ... (ტახტზედ ჩამოჯდება).

ლილი. (ჰკრეფავს სურათებს, რომელთაგანაც ზოგიერთი იატაკზეა დაცვივნული). ბოროტი ხარ, ბაბო!.. კარგს არა სჩადი, რომ აგრე მექცევი... დიდად ვნანობ, რომ ეს ნათხუპნები გაჩვენეთ, (სურათებს უდიანად იატაკზედ დაახლის) დიდად!.. (შეამჩნევს, რომ ერთი სურათი კიდევ დარჩენია მაგიდაზედ და ხელს წამოავლებს) საძაგელი, ყველგან არ არის გაფანტული!.. (იმასაც ძირს ჩააგდებს, შემდეგ მივა მაგიდასთან და ყვავილებს აცოდვილებს). გიყვარს ეს სისაძაგლე?..

ბარბარე. ძალიან... ნუ აწვალებ, თუ ღმერთი გრწამს, მოასვენე...

ლილი. (ფანჯარაზედ შესდგამს) გიყვარს-და, ახლო დაიდგი და ისიამოვნე... ვარდის სუნისაგან თავი ამტკივდება ხოლმე... კიდეც მაგიტომ მოგიტანს ხოლმე სესილი...

სესილი. დიდად ვწუხვარ და აღარც არასოდეს მოვიტან ყვავილებს... თუმცა მგონია, რომ დღესაც პირველად მოვიტანე...

ლილი. მე-კი მგონია, მაგითი ის გინდათ ჰბრძანოთ, ვითომ მე სიცრუეს ვამბობ. . პირდაპირა სთქვათ, ისა სჯობია...

სესილი. სასტიკი ხართ!..

ლილი. გმადლობთ... თუ მაგისათვის მოხვედით, რომ უსიამოვნო სიტყვა-პასუხით გამოგვიჭედოთ ყურები, ისა სჯობდა, სულ არ მოსულიყავით. (ბუხართან მივა) ძალიან მინდა, რომ ზოგიერთი ადამიანი ბუხარს ზედ არ აჰფარებოდეს და სხვას იმის დანახვას არ უშლიდეს, სდუღს ყავადანი, თუ არა... (სესილი საჩქაროდ გაშორდება ბუხარს და კარებთან დადგება, ლილი ცალს ხელში ყავადანს დაიჭერს და აქეთ-იქით იხედება, მეორე ხელში რა ავიღოო; რომ არაფერს იპოვნის, კაბის კალთას აიკრეფავს და კარებისაკენ მიდის). ყველა სხვა ადვილად მიხვდებოდა, რომ კარებს გაღება უნდა... ხომ ჰხედავთ, არც ერთი ხელი არა მაქვს თავისუფალი...

სესილი. (საჩქაროდ გააღებს კარებს) უკაცრაოდ...

ლილი. ღმერთო, როგორ სჩქარობს ჩემს თავიდგან მოშორებას!.. (გადის).

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

რომ მსწრაფლ მავალ გემს უნდება ლონდონიდგან ანუ საუტგამპტონიდგან დურბანამდე 26 დღე; ცხადია, მთელი ფლოტი, რომელიც 15 გემისაგან შესდგებოდა, მძიმედ დატვირთული: ჯარით, თოფ-ზარბაზნებით, სამარი მასალით, სურსათით და სხ. მეტს დროს დაჰკარგავს გზაში. მაშასადამე, სანამ ახალი ჯარი მიეშველებოდეს, გენერალი უაიტი მარტო თავისს ეხლანდელს ძალაზედ უნდა იყოს დამყარებული, ხოლო შესძლებს თუ არა ასეთის მცირე ჯარით გამაგრებას, ამას ჩქარა გავიგებთ.

ლედი-სმიტი ბუნებითს სიმაგრეს წარმოადგენს. ის გაშენებულია მაღლობს სერზედ, მდინარე კლიპის ორთავე ნაპირას. ეს ქალაქი მდებარეობს დრაკონის მთის უმთავრეს წვეროებიდგან 30 ინგლისურ მილის მანძილზედ და ზამთრობით დაცულია ცივი ქარისაგან. ზაფხულობით (ეხლა სამხრეთ აფრიკაში გაზაფხულია) იქ აუტანელი სიცხეები იცის. ლედი-სმიტი გარეგანი შეხედულობით დიდს არას წარმოადგენს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ნატალის დანარჩენ ქალაქთა შორის მესამე ადგილი უჭირავს.

— ლედი-სმიტთან დამარცხების ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ ააშფოთა მთელი ლონდონი. როცა ქუჩებზედ გაკრული განცხადება წაიკითხეს, რომელშიაც ეწერა: „ინგლისის ჯარს უბედურება დაატყდა თავს! 2000 კაცი მტერს ჩაუვარდა ტყვედ! ინგლისელები დამარცხდნენო“! — სასოწარკვეთილმა ხალხმა აღარ იცოდა, რა ექნა. გაზეთებს ერთი მეორეს სტაცებდნენ ხელიდგან და როგორც მშიერი კაცი პურს, ისე ეტანებოდნენ იმ ადგილს, სადაც ეწერა უაიტის ჯარის უბედურების ამბავი. მკითხველები არ უჯერებდნენ თავიანთ თვალებს და შემდეგ წყევა-კრულვით გაზეთს ისროდნენ მიწაზედ. ტელეგრაფის სააგენტოებს ხალხი მიაწყდა და ყველანი ერთი მეორეს შესჩიოდა მომხდარ უბედურების ამბავს. მოედნები და ქუჩები სავსე იყო და ხშირად გაიგონებდი, როგორ სწყევლიდნენ და ჰკიცხავდნენ მთავრობას, რომელმაც ჯარის გაგზავნა დაიგვიანა. ბევრნი სამხედრო სამინისტროში გარბოდნენ მომხდარ უბედურების უფრო დაწვრილებით გასაგებად. იმ ამბავმა, რომ მთავრობამ დეპეშით აცნობა გენერალს ბულლერს — დაუყოვნებლივ გამოგზავნით ქვეითა ჯარის სამს ბატალიონს და ერთს ბატარეიასო, ნატალის შესაშველად, — ვერ დაამშვიდა ხალხი. გავრცელებულმა ხმამ, რომ ბურებმა 1000 კაცი დაჰკარგესო, რასაც სხვა დროს აღტაცებით მიეგებებოდა ხალხი, ეხლა ყველამ ეჭვის თვალით შეხედა და გაიძახოდნენ, რომ ეს ტყუილი არისო.

— „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ პრეტორიიდგან, რომ ნემეცების ჯარი, რომელიც შესამჩნევად დაზარალდა ელანდსლააგტესთან ბრძოლის დროს, ხელ-ახლა შეივსო, ასე რომ ამ ჟამად ისევ 600 კაცია იმაშიო; ჯარის უფროსად ეხლა კაპიტანი ფონ-ალბედილი არისო.

—

**გერმანია.** გაზეთების სიტყვით, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი უთუოდ წავა ინგლისში 6 ნოემბერს. ვითომც იმპერატორს ეთქვას თავისი მახლობლებისათვის, რომ ჩემს მოგზაურობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვსო და იგი სრულებით არ იქონიებს რაიმე გავლენას იმ გარდაწყვეტილებაზე, რასაც გერმანიის იმპერიის ინტერესები თხოულობსო. „ინგლისის დედოფალს დარბაზობას იმპერატორი კი არ გაუწევს, არამედ შვილის შვილი, რომელსაც სურვილი აქვს გარდაეხვიოს თავისს მოხუცს ბებიასო. განა შემიძლიან ამ ნათესაობრივს მოვალეობას გვერდი ავუხვიო? ბებია ჩემი მწერდა, რომ სამშმის სისწრაფით მხედველობა მისუსტდებაო. ისა მთხოვს, სანამ კიდევ დრო დამრჩენია, ჩემთან მოდიო, რათა უკანასკნელად თვალი გადავავლოო, ვითარცა ჩემს შვილის შვილსო. დაგვიანება აღარ შეიძლება, რადგან ინგლისის დედოფალი მერმე ველარაფერს დაინახავსო, უბრძანებია იმპერატორს; ამიტომ არ შემიძლიან ინგლისში წასვლა გადავდოვო.

## დამაკვერდა

კაცური მოვალეობა და პატივი მოითხოვს — იღვაწო გახდე შვენიერ კაცად და შეიძინო საზრდო შენთვისა და შენთა სახლის წულთათვის.

ქსენოფონტე

* * *

უოველი ძლიერი ომი, რომელიც გადამხდა, ის იყო, ჩემს ცოლ ოლიმპიასთან რომ მქონდა.

ფილიპპე მაკედონელი

* * *

ჭიანჭველასაც უყვარს თავისი ბუნაგი და ჩვენ რომ ჩვენი სამშობლო გვიყვარდეს, განა ეს დანაშაულია!?...

ბ. დ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, საფოსტო მარკები ყველა იმ სახელმწიფოშია შემოღებული, სადაც-კი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი არსებობს. პირველად საფოსტო მარკები ინგლისმა შემოიღო 1840 წელს. თითო მარკა მაშინ სპენსი (4 კაპეიკი) ჰღირდა. ინგლისს საფრანგეთმა მიჰბაძა და 1849 წელს იმანაც შემოიღო მარკა. ფრანგულს მარკაზე დახატული იყო ქალის თავი. 1850 წელს უნგრეთმა შემოიღო მარკები, ხოლო 1857 წელს—რუსეთმა. ყველაზედ გვიან მარკა ოსმალოს იმპერიაში იქმნა შემოღებული, სახელდობრ 1863 წელს. მარკების შეგროვება და შენახვა კარგა ხანია დაიწყეს. ბევრს ეს საქმე სენად აქვს გადაქცეული. პირველად მარკებს ბავშვები აგროვებდნენ, შემდეგ იმათ მაგალითს დიდებმაც მიჰბაძეს. როგორც ერთი გაზეთი იუწყება, ყველაზედ კარგი და მდიდარი კოლექცია მარკებისა ამ ჟამად ვინმე ფილლიპპე-დე-ფერრარისა აქვს. ეს კოლექცია 800,000 მან. არის დაფასებული. ზოგი ძველი მარკა დღეს ძალიან ძნელი საშოვნია და ამიტომ მეტად ძვირადა ფასობს. ამათ რიცხვს ეკუთვნის: წმ. მავრიკის კუნძულის (ეს კუნძული აფრიკაშია) მარკა, რომელიც 3500 მანეთამდე ფასობს, გვიანის მარკა—2500 მან., მოლდავიის მარკა—1000 მანეთი; უფრო ხშირად მარკები ოთხკუთხიანია, მოიპოვება აგრეთვე სამკუთხიანი და მრგვალიც-კი, ასეთია, მაგალითად, ბრაზილიის მარკა. ზოგიერთი მარკა მეტად ლამაზია და კარგად დასურათებული. 1892—3 წელს ამერიკაში კოლუმბის იუბილეის გამო შემოიღეს ერთგვარი მარკა, რომელიც 10 მანეთი ღირდა. ამ რამდენისამე ხნის წინად ევროპაში ხმა გავრცელდა, რომ გინც 10000 მარკას შეაგროვებს და ჩინეთში ერთს მანდარინს გაუგზავნის, მიიღებს იმისაგან საჩუქრად მშვენიერს ვერცხლის სერვიზსაო. ამის გამო ჩინეთში მყოფ საფრანგეთის ელჩს ბევრმა მიჰმართა და სთხოვა, შეგვატყობინეთ იმ მანდარინის ადრესიო. ბოლოს, ელჩს ისე მოაბეზრეს თავი, რომ გაზეთებში გამოაცხადა, ტყუილია ეს ამბავიო.

*
* *

ნიუ-იორკელებს განუზრახავთ ააგონ ისეთი უზარმაზარი შენობა, რომლის ბადალიც მთელ დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვებოდეს. ამ შენობაში ქალაქის თვითმმართველობა იქმნება მოთავსებული. აზრადა აქვთ, მთელი შენობა ფოლადისაგან ააგონ. სიმაღლე ამ შენობას 1,500 ფუტი ექმნება, სიგანე—3500 ფუტი, სულ შენობაში 4000 დარბაზი იქმნება. ერთ კუთხეში ამფითეატრი იქნება გამართული, სადაც 60,000 კაცამდე დაეტევა. როგორც გამოანგარიშებულია, ამ შენობის აგებას დასჭირდება 663,000 მუშა 26 წლის განმავლობაში, ხოლო თვით შენობა რამდენიმე ასი მილიონი მანეთი დაჯდება.

* * *

კალიფორნიის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ დღეებში ალიასკიდგან ევროპაში გაემგზავრა საფრანგეთის იმპერატრიცად ნამყოფის ევგენიას ბიძა-შვილიო, რომელიც ეს 30 წელიწადია სადღაც გადიკარგა და დაიმალა. წინად იმპერატრიცას ბიძა-შვილი კამილო ესპინოზა ესპანიის ჯარში მსახურობდა. 1868 წელს მადრიდიდგან გაიქცა, რადგანაც დუელში ერთი თავისი ამხანაგი შემოაკვდა. მთავრობამ დიდი ფული გადასდო იმის დასაჭილდოებლად, ვინც ესპინოზას დაიჭერდა. მაგრამ ესპინოზამ სხვის სახელი დაირქვა და ინდოეთში გადასვლა მოახერხა. იქ რამდენიმე წელიწადი დაჰყო დიდს სიღარიბესა და გაჭირვებაში. 1884 წელს ინდოეთს თავი მიანება და სხვებთან ერთად კლონდაიკში წავიდა ოქროს საძებნელად, აქ-კი გაუღიმა ბედმა ესპინოზას: თავისს ამხანაგებთან ერთად მან ერთი მდიდარი მადანი აღმოაჩინა, საიდგანაც რამდენისამე ათასის მანეთის ოქრო ამოიღო. წამოსვლის დროს ეს მადანი 186,000 მანეთად გაუყიდნია. ეხლა ესპინოზა ევროპაში მიდის თურმე საცხოვრებლად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ოქტომბერი

**ლონდონი.** შუაღამემდე სამხედრო სამინისტროს არ გამოუქვეყნებია არც ერთი საყურადღებო ამბავი ომის შესახებ.

**ესტკორტი.** აქ ეს-ეს არის მოვიდა ლედი-სმიტიდგან შიკრიკი, რომელსაც გამოუვლია ბურებში. ის იუწყება, ხუთშაბათს ცხარე ომი მოხდა ლედი-სმიტის გარშემოო. ინგლისელებმა გარეკეს ბურები, რომლებიც ძლიერ დაზარალდნენ. 30 ცხენოსანი ბური დატყვევებულ იქმნა. პარასკევს ომი ისევ განახლდა, მაგრამ მტერი კიდევ უკუ-ქცეულ იქმნა.

23 ოქტომბერს ტატმასის ფერმასთან ომის დროს ბურებს მოუკლეს, დაუჭრეს და დაუტყვევეს 800 კაცი.

**ლონდონი.** კოლენზოსთან მომხდარ ომში 22 ოქტომბერს მოკლულ იქმნა 12 ბური და 12 კვდარი ბრძოლის ველზედ იქმნა დატოვებული. ინგლისის ჯარის კოლენზოდგან უკან დახევა საჭირო შეიქმნა, რადგან მტერმა მრავალი იარაღი გამოიტანა, რის გამო შეუძლებელი იყო პოზიციის გამაგრება.

**პიტერმარიცბურგი.** დეპეშების გზავნა ესტკორტის ჩრდილოეთისაკენ შეწყვეტილია.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს სტრომბერგიდგან აუწყებენ, რომ 2,000 ბური ორანჟეს რესპუბლიკიდგან შეესივნენ კაპის ახალშენს, სადაც ელიან დამხმარებელ ჯარს დუკსვილიდგან და ბლუმფონტენიდგან. მათის მოსვლის შემდეგ ბურთა ჯარი, 5,000 კაცი, დაიძრება სტრომბერგისაკენ, საიდგანაც ინგლისის ჯარი უკვე გავიდა.

**პარიჟი.** მთავრობას არა ჰგონია, რომ ჩინეთთან უთანხმოება კვანჩჟოუ-ვანის მიწა წყლის საზღვრების დადგენის გამო გამწვავდეს. მთავრობას საკმარისად მიაჩნია ტონკინიდგან მხოლოდ ორი ბატალიონის გაგზავნა, რომელნიც სადავო ადგილებს დაიჭერენ.

**ნიუ იორკი.** „New-York-Herald“-ს დეპეშით აუწყებენ ვაშინგტონიდგან: ჩინეთის მთავრობამ ამას წინად სთხოვა შეერთებულ შტატების მთავრობას, ზნეობრივი დახმარება აღმოგვიჩინეთ ჩინეთის განაწილების საწინააღმდეგოდაო. შეერთებულ შტატების მთავრობამ შემოუთვალა, ვერ მოგცემთ მაგის პირობასაო.

27 ოქტომბერი.

**ლონდონი.** დილის გაზეთების სიტყვით, ჟუბერი გაემართა სამხრეთისაკენ და ემზადება ესტკორტზედ იერიშის მიტანას.

**კიმბერლეი.** მტერს, რომელიც ქალაქს გარს არტყია, მიემატა 1,500 კაცი. მეფეკინგის მახლობლად ანგრევენ შენობებს, დღეს ააფეთქეს დინამიტის საწყობი, ქალაქიდგან 7 ვერსის მანძილზედ. 35 ტონი დინამიტი საშინელის ხმით ავარდა ჰაერში.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ლედისმიტთან ომში ინგლისელებმა გაიმარჯვეს. როგორც ისმის, 2,000 ბური დატყვევებულ იქმნა.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს კაპშტადტიდგან აუწყა, რომ ესტკორტის გენერალისაკენ მას მიუღია შემდეგი დეპეშა: მას შემდეგ, როცა პარასკევს ომი შესწყდა, იმავე დღეს გენერალ ჟუბერს წერილით ვთხოვეთ გაეშვა ავადმყოფები და დაჭრილები სამხრეთისაკენ. ჟუბერმა უარი შემოგვითვალა, მაგრამ ნება მოგვცა ავადმყოფების ბანაკში წაყვანისა. ქალაქის მცხოვრებთ არ მიიღეს ეს წინადადება. პარასკევს რამდენიმე დიდი ყუმბარა საავადმყოფოში ჩავარდა და ერთიც სასტუმროში საუზმის დროს. არავინ დაშავებულა. პარასკევს ჯარმა უკან დაჰხია ბურები კარგა დიდ მანძილზედ. მეორე შეტაკება მოხდა იზიმბულვანის მთასთან. ინგლისელებს მოუკლეს 8 და დაუჭრეს 20 კაცი.

**ესტკორტი.** კოლენზო უვნებლად არის. ამ ქალაქიდგან 6 მილის სიშორეზედ შეჰნიშნეს ორანჟეის ბურთა ჯარი. როგორც ისმის, პარასკევს ბურებთან ერთად იბრძოდნენ ნატალის აფრიკანდერეში.

**კურუმანი** მეფეკინგიდგან მოსულმა შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ ბადენ-პაულეს წაურთმევია ბურებისათვის ჯორები და ცხენები. ყოველ დღე შეტაკებაა, რომელშიაც მეფეკინგის გარნიზონი ყოველთვის იმარჯვებს. მცხოვრებლები ამბობენ, რომ მათ შეხვედრიათ მეფეკინგში მომავალი პოლკოვნიკის პლუმერის ჯარი.

**სადგ. ორანჟე რივერი.** ამბობენ, რომ ბურებს დაუნგრევიათ მიდლერრივერის ხიდის ერთი გვერდი. როგორც ისმის, ბურები იერიშის მიტანას აპირებენ ინგლისელთა ბანაკზედ.

**დურბანი.** ბურები შეესივნენ ინგვაკუმეს, ზულუსთა ქვეყანას, გაძარცვეს და დასწვეს საზოგადო შენობები და დუქნები. მთავრობა, პოლიცია და მცხოვრებნი ესგოფში გაიქცნენ.

# განცხადებანი


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, აჩბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სახლ 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—28)

იყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

**ОПЫТЪ**

**ГРУЗИНО-РУССКАГО**

**СЛОВАРЯ**

дла начальныхъ училищъ

**К. БАГАЕВА**

ფასი 50 კ. (15—14)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნები:

თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი

ფასი 1 მან.

და

**ქართული სახალხო სიმღერები,**

ნოტებზედ გადმოღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ.

ფასი 50 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 26 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე